პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული აცრების ჩატარების წესი მდგომარეობს შემდეგში: ბცქ (ტუბერკულოზი) აცრა ტარდება დაბადებიდან 0-5 დღეში სამშობიარო სახლში. ბ ჰეპატიტის პირველი აცრა კიდდება სამშობიარო სახლში 0-12 საათის განმავლობაში ბ ჰეპატიტის მინი ვაქცინით. სამშობიაროში აუცრელი ბავშვების ვაქცინაცია ტარდება დამტკიცებული კალენდრის შესაბამისად კომბინირებული ვაქცინით: დიფთერია+ყვანახველა+ტეტანუსი+ბბ+ბ ჰეპატიტის ბ+ბ. ვაქცინაცია ტარდება 2 თვის ასაკიდან სამჯერადად თითო თვის ინტერვალით. 18 თვის ასაკში ტარდება დეტოპუს-რევაკცინაცია. 1 წლის ასაკში ტარდება წყვე (წითელა, წითურა, ყაყურა).

5 წლის ასაკში ტარდება სამი აცრა: წყვე-2, დტ, ბც. 14 წლის ასაკში ტარდება ერთი აცრა - ტდ (ტეტანუს-დიფთერია).

აცრის ჩატარების წინ სამედიცინო პერსონალი აფასებს ბავშვის ზოგად მდგომარეობას, გაუზომავს ტემპერატურას და ნახუ-



ლობს აცრისადმი რაიმე უკუპასუხებას ხომ არ აქვს.

ვაქცინაციის და რევაქცინაციის ჩატარების შემდეგ ადამიანს უყალიბდება იმუნიტეტი იმ ინფექციის მიმართ, რომელიც აცრა. ნებისმიერ ვაქცინას იმუნიზაციისასთან ერთად აქვს რეაქციოგენობის გარკვეული ხარისხი და აქედან გამომდინარე არ შეიძლება აბსოლუტურად გამოირიცხოს იმუნიზაციის შემდეგ განვითარებული არასასურველი მოვლენების განვითარების რისკი. ხშირ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირი (იმე) მოვლენასა და ვაქცინაციას შორის არ არსებობს და ჯანმრთელობის

მდგომარეობის დარღვევა დაავადებასთან თანხვედრის შედეგია.

მსუბუქი რეაქციები - ტემპერატურის მცირე მომატება, მტკივნეულობა ინექციის ადგილზე ორგანიზმში იმუნიზაციის პასუხის გამოხატულების პროცესის მიმდინარეობის გვიანდელ და ეს მოვლენები მოკლე დროში აღადგება მკურნალობის გარეშე. აღსანიშნავია, რომ ინფექციების საწინააღმდეგო ვაქცინაციის დადებითი შედეგები ბევრად აღემატება იმუნიზაციის შემდეგში გართულებების შესაძლო ზანს. არავაქცინირებული ბავშვების მართვადი ინფექციებით დაავადების ალბათობა მნიშვნელოვნად აღემატება

აცრის შემდგომი გართულებების განვითარების ალბათობას.

ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული გვემორი აცრები არის უფასო, რომელიც ტარდება ყველა საექიმო უბანზე მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მიერ. ასაკური მასალის (ვაქცინების) ტრანსპორტირება, შენახვა ხდება ცივი ჯაჭვის სრული დაცვით.

გარდა გვემორი აცრებისა, არის ასევე რეკომენდირებული აცრები, რომელიც ტარდება ეპიდემიური ჩვენებით, როცა იცრება რისკ კონტინგენტი: შავი ჭირის დროს იცრებიან ცოცხალ კულტურაზე მომუშავენი, აქტიურ ეპიზოტურ კერაში მცხოვრებნი; ბრუცელოზის დროს ცოცხალ კულტურაზე მომუშავენი, სპეციალიზირებულ სამსახურში მომუშავენი;

ვირუსული ჰეპატიტი ა-ს დროს იცრება ჰიპერენდემიური ავადობის დონის ტერიტორიაზე, სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებების, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემებთან მომუშავე პერსონალი.

გრიპის დროს - 60 წელზე უფროსი ასაკის, ქრონიკული სომატური დაავადებების მქონე პირები, სკოლამდელი ასაკის ბავშვები, სკოლის მოსწავლეები, ორსულები, სამედიცინო, ტრანსპორტის, განათლებისა და მომსახურების სფეროს პერსონალი. ნებისმიერი აცრის შემდეგ შესაძლებელია აცრილი პირი ვეცდეს ავად, მაგრამ დაავადება მიმდინარეობს მსუბუქად და ლეტალური შედეგი არ იქნება.

მოსახლეობის საფრთხილად: ვთხოვთ თქვენი შვილები არ დატოვოთ პროფილაქტიკური აცრების გარეშე, რათა ისინი დაეცვიან იქნან მძიმე ინფექციური დაავადებებისგან.

## საზნებლოთეკო კვირეული ხარაგაულში

### მესამე გვერიდან

ვართ, რომ ვიყავით თქვენი მოსწავლეები, - დასძინეს მათ.

ზეინაბ ბუაჩიძემ უნივერსიტეტის დამაარებლისთანავე შშობილურ ხარაგაულს მოაშურა და მუშაობა ხარაგაულის მუზეუმში დაიწყო. მუზეუმის მეცნიერთანამშრომლის ეკა შევლიძის თქმით, მან უდიდესი კვალი დატოვა მუზეუმში თავისი საქმიანობით. ზეინაბ ბუაჩიძის მიერ შექმნილი საექსპოზიციო გვერდკულტურის სამინისტროს წარმომადგენლებმა საკანდიდატო ნაშრომად შეაფასეს. „წიგნი „გზა გოლგოთისა“ საინტერესო ენით არის დაწერილი. ყველა დიდი საიმოვნებით და სიყვარულით წაიკითხავს. ხარაგაულელ აბაშიძეთა ისტორია, რომელიც, სამწუხაროდ, ამ წიგნში ვერ შევიდა, არის ფუნდამენტური, მაღალ დონეზე ჩატარებული კვლევა. ყველაზე დიდი ბედნიერებაა, რომ ხართ ხარაგაულში და ხარაგაულელ ბავშვებს აზიარებთ ისტორიას. ჩვენ ვამაყობთ გამოჩენილი თანამემამულეებითა და წარსულით. საამაყო ხართ დღეს თქვენ. საქმეს აკეთებთ ძალიან უჩუბრად, წყნარად და სიყვარულით. ვისურვებთ ბედნიერ მომავალს,“ - უთხრა ზეინაბ ბუაჩიძეს ეკა შევლიძემ.

ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა რუსიკო ფცქიალაძემ და ნანა ბელაშმა ხაზი გაუსვეს ზეინაბ ბუაჩიძის მლიერ ხსიათს და მის განსაკუთრებულ სიყვარულს ოჯახის წევრებისა და ზოგადად, მოყვასისადმი. რუსიკო ფცქიალაძემ გაიხსენა, თუ როგორ შეკრა სუნთქვა, როცა ქალბატონი ზეინაბის მიერ დაწერილი დავისმშობლის ხატი ნახა პირველად.

„სტუდენტობიდან მასოვს ზეინაბი. გასაკვირი არ არის, რომ ის ასეთი კარგა, რადგან საუკეთესო ოჯახში აღიზარდა. ხარაგაულში ყოველდღე შეგხვდება მოწინავეული, მოწესრიგებული, თავმდაბალი ადამიანი, ისეთი სათნო პასუხს გეტყვის, რომ ტანში დაგაფრიალებს, ამაზე უკეთესი რა გინდა?! ესაა მთავარი. ასეთი მიყვარხარ, ჩემო ზეინაბ, შენ აღამაზებ ხარაგაულს,“ - ასე მიმართა ზეინაბ ბუაჩიძეს გულრიკო ჭარბაძემ.

ნინო დიდიძე დღემდე სათუთად ინახავს იმ ნახატებს, რომლებიც სკოლაში ზეინაბ მასწავლებლის მითითებებით

შექმნა. იგი მოსწავლეობიდან მოყოლებული უდიდეს სითბოსა და სიყვარულს გრძნობს მისგან.

ქეთევან ზუზუაძის თქმით, ბედნიერია ყველა ის ბავშვი, რომელიც ზეინაბ ბუაჩიძის მოსწავლე ყოფილა, არის და იქნება.

ვალერი გოგანაძემ აღნიშნა, რომ წიგნში ყველა მასალა ამდლებული შინაგანი ძალითაა გადმოცემული.

რატომ გააღამხეს და ზეინაბ ბუაჩიძის ლექსები წაიკითხეს.

სასულიერო გიმნაზიის X კლასის მოსწავლემ დავით მაჭავარიანმა, რომელმაც ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის დასკვნითი ტურის შემდეგ ისტორიაში მეორე ადგილი მოიპოვა, მსმენელებს ვახტანგ გორგასალის ცხოვრების დეტალები გააცნო.

და მთელი კოლექტივის, რადგან სწორედ ამ გახვთში დავიწყე წერილების გამოქვეყნება „მითხრობები საქართველოს ისტორიიდან.“ სამწუხაროდ, სკოლაში ისტორია სათანადო დონეზე აღარ ისწავლება. ისტორია სიკვდილის გზაზეა დამდგარი. თუ მასწავლებელმა თავისი ქვეყნის ისტორია არ ასწავლა მომავალ თაობას, ძალიან მძელია.



ელეა შარიქაძემ კი ხაზი გაუსვა იმას, რომ მისი შვილი (ცდილობს, ყველა გაკვეთილი მოაშხალოს ქალბატონი ზეინაბის სიყვარულით და დიდი პასუხისმგებლობით.

დონისძება და ხარაგაულის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა, ბიბლიოთეკის აქტიურმა მკითხველებმა ქეთევან სხილაძემ, ანა ჩხეიძემ, თამარ თხელიძემ, გიორგი გოგოლაძემ და არჩილ მასიუ-

ლონისძეების მონაწილე მოსწავლეები ბიბლიოთეკის დირექტორმა ნანა ლურსმანაშვილმა სიგელებით დააჯილდოვა.

დასასრულს ზეინაბ ბუაჩიძემ აღნიშნა, რომ ეს წიგნი ვერ გამოიქვემოდა იზა ვეფხვაძის დიდი მხარდაჭერის გარეშე. „უადრესად მაღლივით ვარ გახვთ „ჩემი ხარაგაულის“ რედაქტორის ქალბატონ ლაურა გოგოლაძის

წიგნის გამოცემაზე პირველად ბატონმა გივი გოგოლაძემ დამაფიქრა. რაც შეეხება ჩემს ნიჭიერებას, დედამიწავს არ არსებობს ადამიანი, რომ არ ჰქონდეს ნიჭი. ისტორიის სწავლება მე ღმერთმა დამაკისრა: მომიყვანა ხარაგაულში, სკოლაში და მომცა ბავშვები, რომლებიც უნდა გაიზარდონ სამშობლოს სიყვარულით. ეს არის ჩემი მისია. აქ არაფერ შუაშია ნიჭიერება. მე იმას

ვაკეთებ, რაც შემიძლია. ჩემი ყველაზე დიდი მიღწევა კი ისაა, რომ ეკლესიაში ვდგავარ.

მეორე წიგნისთვისაც მაქვს მასალები. იმას მაინც შეგძლებ, რომ თავმოყრილი მასალები ელექტრონული ვერსია დაგვტოვო.“

● კვირულის მეორე დღე საბავშვო ბიბლიოთეკის აქტიურმა მკითხველებმა გააღამხეს. ვაჟა-ფშაველას 150 წლის-თავად დაკავშირებით მოსწავლეებმა ბიბლიოთეკის დირექტორის მაკა ბუაჩიძისა და ბიბლიოთეკარ სოფო ლაცაბიძის მიერ მომზადებული ვიდეო მასალა იხილეს. შემდეგ კი პატრიოტულ თემზე შექმნილი კომპოზიცია „ენა, მამული სარწმუნოება“ წარმოადგინეს. ლექსები და მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტები მოკვიტხრეს მოსწავლეებმა: ნინო ჭყვიძემ, სოფო კვამლიაძემ, ცოტნე, მარი, ელისო, თამარ კიკნაძეებმა, ბარბარე ლურსმანაშვილმა, ნონა მაჭავარიანმა, ნინო ბარბაქაძემ, ანა თაბუკაშვილმა, თიკო გელაშვილმა, ბექა ჯუღელმა. დონისძება სასიამოვნო ჰანგებით დაატკბეს და-ძმა თამარ, ელისო და ცოტნე კიკნაძეებმა. საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორმა ნანა ლურსმანაშვილმა აღნიშნა, რომ ყველანაირად ხელს შეუწყობს საბავშვო ბიბლიოთეკას და ნორჩი მკითხველებისთვის პირობების გაუმჯობესებას. მანვე სიგელებით დააჯილდოვა მოსწავლეები საბიბლიოთეკო კვირეულში აქტიური მონაწილეობისათვის.

● კვირულის ფარგლებში 5-6 მაისს თბილისის გ. ლიონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმსა და თბილისის ახალგაზრდობის (ყოფილ პიონერთა) სასახლეში ხარაგაულის ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან არსებულმა რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურულმა თეატრმა (რეჟისორი იზა ვეფხვაძე) გამართა ქართველი პოეტისა და მხატვრის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის - ესმა ონიანის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო: „ნათუ ეს მე ვარ, ისევე მე ვარ...“

ნინო კაპანაძე

ფოტოზე: ვაჟა-ფშაველას 150 წლის-თავისადმი მიძღვნილი ღონისძიების შემდეგ ხარაგაულის საბავშვო ბიბლიოთეკაში



# აბაზის აკილო

## პირველი გვერდიდან

არსებობს უფრო მეტი, ვიდრე „ზემდღო-მის“ დაავადებაა. ასე, შეიძლება, ჩავარდეს საჭე, რომელიც, შესაძლოა, ხსნა არა, მაგრამ მნიშვნელოვანი შედეგითი ყოფილიყო.

დებუტატებმა თუბურ გამცემლიძემ, გაა არეკაძემ და რომან შერვაშაშვილმა სიმინდის პიბრდული თესლის მოსახლეობაზე დადალეუბის ფაქტები უარყვეს. „კარდაკარ ვარეთ, ყველას აუფხვნი, რა აქვს დადებითი და რა - უარყოფითი. არავისთვის დაგვიდალება,“ - აღნიშნა რომან შერვაშაშვილმა საკრებულოს სხდომაზე.

## თენგივ ჭიპაშვილის ქუჩა უნდა გაკეთდეს

დ. ხარაგაულში მცხოვრები მარინა ჭიპაშვილი თენგივ ჭიპაშვილის ქუჩის რეაბილიტაციას ითხოვს. ამის შესახებ მან საკრებულოს 2 მაისის სხდომაზე განაცხადა.

„თენგივ ჭიპაშვილის ქუჩის მოწესრიგება მარამ დაიწყო. წელს აღმოჩნდა, რომ პროექტი აღარ არის. სამუშაოების 10 პროცენტზე არაა გაკეთებული. ან თანხა სად წაიდა, ან წელს რატომ არ გაითვალისწინეს ბიუჯეტში? იმიტომ, რომ ოპოზიციონერი ვარ,“ - აცხადებს მარინა ჭიპაშვილი.

თენგივ ჭიპაშვილი არის გმირი. მისი სახელობის ქუჩა უნდა გაკეთდეს. 30 ათასი ლარი იყო ამისთვის გამოყოფილი.“

## ხარაგაულში ახალგაზრდული ფესტივალი „მე მიყვარს ხარაგაული“ მიმდინარეობს

4 მაისს გაიხსნა და 26 მაისამდე გასტანს ახალგაზრდული ფესტივალი „მე მიყვარს ხარაგაული“, რომელშიც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლები მონაწილეობენ და რომლის ორგანიზატორიცაა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლება და ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრი.

ფესტივალი დაიწყო მხიარულთა და სახრიანთა კონკურსით. შემდეგ ეტაპზე უკვე გადავიდნენ ხარაგაულის №3 და სალანძღის საჯარო სკოლების გუნდები. ფესტივალის მეორე დღე ინტელექტუალური თამაშს „რა? სად? როდის?“ დაეთმო. ფესტივალის განმავლობაში არაერთი საინტერესო ღონისძიებაა დაგეგმილი.

## აშშ-ის მთავრობამ საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზების განაგრძობა გადაწყვიტა

აშშ-ის მთავრობამ საქართველოს მოქალაქეებისთვის სხვადასხვა კატეგორიის ვიზების მაქსიმალური განაგრძობის გადაწყვეტილება მიიღო.

როგორც 4 მაისს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს და აშშ-ის ელჩ ჯონ ბასს შორის შეხვედრის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე აღინიშნა, საქართველოს მოქალაქეებისთვის ზოგიერთი კატეგორიის ვიზის ვადა - 1-დან 5 წლამდე, ხოლო სხვა კატეგორიისა 1-დან 10 წლამდე გაიზარდა.

„აშშ-ის მოქალაქეებისთვის საქართველოში უვიზო მიმოსვლის გათვალისწინებითა და 15 მარტს აშშ-ში გამართული

სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ხელშეწყობის საშუალო ვადების შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმების, უპირველესად კი იმ მტკიცე და მყარი თანამშრომლობის საფუძველზე, რომელიც საქართველოსა და ამერიკის შორის არსებობს, აშშ-ის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეებისთვის სხვადასხვა კატეგორიის ვიზების მაქსიმალური ხანგრძლივობით გაზრდის თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება ასევე ეფუძნება იმას, რომ ჩვენ საქართველოსა და მისი მოქალაქეების მიმართ ნდობა გვაქვს. მეორეს მხრივ, ეს გადაწყვეტილება ეფუძნება იმას, რომ ჩვენი მოქალაქეების მიმართ ქართული მხარე გულთბილ და სასიამოვნო დამოკიდებულებას იჩენს. ჩვენი პოლიტიკაა, რომ ურთიერთგაცვლისა და ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე სხვა ქვეყნებისადმი ასეთი მიდგომა არსებობდეს. აღნიშნული გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს საქართველოსა და აშშ-ს შორის მოგზაურობას, ვაჭრობას და ტურიზმის განვითარებას. ეს გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ ასახავს ჩვენს დამოკიდებულებას საქართველოსადმი. იმედი გვაქვს, ქვეყანაში, სადაც ჩვენ ინვესტიციებს ვახორციელებთ, ამ გადაწყვეტილების შედეგი უახლოეს თვეებში თვალნათელი გახდება,“ - განაცხადა ჯონ ბასმა.

ცნობისათვის, ტურისტული და სამუშაო, ასევე ტრანზიტული მრავალჯერადი ვიზების ხანგრძლივობა არსებული 1-დან 10 წლამდე იზრდება საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობისთვის, მათ შორის - ისეთი კატეგორიებისათვის, როგორცაა ტურისტები და ბიზნესმენები.

ვიზების მოქმედების ვადების გაზრდის პირობებში ამერიკის ვიზის კვალიფიციურ მაძიებლებს საქართველოში ყოველ წელიწადს ვიზის მოთხოვნით განაცხადის შეტანა არ მოუწევთ.

საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძის განცხადებით, „ამერიკის მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გამარტივების თაობაზე ერთ-ერთი შედეგია, რომელიც სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტიის საფუძველზე საქართველომ მიიღო.“

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში აშშ-ის ელჩ ჯონ ბასთან შეხვედრის შემდეგ გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, „აღნიშნული გადაწყვეტილება ამერიკის მხრიდან მეგობრული ფესტივალი“

„დღევანდელი დღე სასიამოვნო ნოტაზე დაიწყო. ჩემმა მეგობარმა, აშშ-ის ელჩმა დამირეკა და მითხრა, რომ ამერიკის მთავრობამ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის გამარტივებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღო. საუბარია ისეთ სერიოზულ ნაბიჯზე, როგორცაა საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზების 10 წლამდე განაგრძობა. ეს არის უკიდურესად მეგობრული ფესტი ჩვენი ამერიკელი მოკავშირეების მხრიდან და ნაბიჯი, რომელიც შეერთებულ შტატებში საქართველოს მოქალაქეებისთვის ბიზნესის წარმოებას ხელს შეუწყობს,“ - დასძინა ვაშაძემ და შეერთებულ შტატებს მადლობა გადაუხადა.



## აბინდი

### პიხისი

09.05 - მორბეულულობა ნალექით, დღე +21°C, ღამე +12°C;

10.05 - ცვალებადი მორბეულულობა ნალექით, დღე +24°C, ღამე +13°C;

11.05 - ცვალებადი მორბეულულობა ნალექით, დღე +26°C, ღამე +15°C;

12.05 - მორბეულულობა ნალექით, დღე +24°C, ღამე +15°C;

13.05 - ცვალებადი მორბეულულობა ნალექით, დღე +24°C, ღამე +13°C.

### მოლითი

09.05 - ცვალებადი მორბეულულობა ნალექით, დღე +20°C, ღამე +10°C;

10.05 - ცვალებადი მორბეულულობა ნალექით, დღე +22°C, ღამე +10°C;

11.05 - ცვალებადი მორბეულულობა ნალექით, დღე +23°C, ღამე +11°C;

12.05 - მორბეულულობა ნალექით, დღე +22°C, ღამე +12°C;

13.05 - ცვალებადი მორბეულულობა ნალექით, დღე +21°C, ღამე +9°C.

### ბორითი

09.05 - ცვალებადი მორბეულულობა ნალექით, დღე +21°C, ღამე +12°C;

10.05 - ცვალებადი მორბეულულობა ნალექით, დღე +24°C, ღამე +12°C;

11.05 - ცვალებადი მორბეულულობა ნალექით, დღე +25°C, ღამე +14°C;

12.05 - მორბეულულობა ნალექით, დღე +23°C, ღამე +14°C;

13.05 - ცვალებადი მორბეულულობა უნალექოდ, დღე +23°C, ღამე +12°C.



## მარინე (მარიკა) ბობოლაძის ხსოვნას

ტკივილიანი განცდები გეტანჯავს, ცრემლები გვიდუნს, ამ სიტყვების წერა რომ გვიხდება, ჩვენი ძვირფასო მეგობარი. უღმობესმა სენმა უდროოდ დაგატოვებინა შენი საყვარელი, დიდი შრომით შექმნილი ოჯახი, შენი საყვარელი ქმარ-შვილი, ახლობლები და სამსახური. მხნე, ენერგიული, შემართებული და შეუდრეკელი იყავი პრობლემებთან გამკლავებისას. ვაუკაცურად იტანდი ცხოვრებისეულ სიმძიმეებს და ვაუკაცურად ებრძოდე უკურნებელ სენს, მაგრამ ბედისწერამ მაინც გიმუხტლა და 53 წლის ასაკში დაგამორა შენს საყვარელ სკოლას, მოსწავლეებს და თანამშრომლებს.

მუდამ გვეძმანსოვრება შენი ღიმილიანი სახე, შენი ფუსფუსა ხასიათი და შემართება, ჩვენი საყვარელი მეგობარი. მსუბუქად იყოს შენთვის მშობლიური მიწა.

## ვერტევიჭალის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი

ვერტევიჭალის საჯარო სკოლის თანამშრომლები თანაუგრძობენ ამავე სკოლის პედაგოგს შხა გიგორის სიძის **დათოს** გარდაცვალების გამო.

## განათლების პროფკავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ვერტევიჭალის საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებლის **მარიკა ბობოლაძის** გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## ნათლული ია ლომიძე ღრმა მწუხარებას გამოხატავს ნათლის **მარიკა ბობოლაძის** გარდაცვალების გამო და თანაუგრძობს განსვენებულის ახლობლებს.

## ლიანა ბარბაქაძე ოჯახით იუწყება **მარინე გოგოლაძის** გარდაცვალებას და თანაგრძობს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ღედამამიშვილებს და ახლობლებს.

## უახლოესი მეზობლები იუწყებიან **მარინე გოგოლაძის** გარდაცვალებას და თანაგრძობს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



## შურა კაკიტაძე-თაბუკაშვილის მონატრება

ერთი წელი გავიდა, დედა, რაც შენი იმედანი სიტყვები არ გამივინია. დედა, მოუშუშებელ ტკივილად დარჩება ჩვენს მენსიერებაში 2010 წლის 15 მაისი.

წლებმდღე 12 მაისს 82 წლის გახდებოდი. ერთი წელი გავიდა, რაც სამუდამოდ დაგვტოვე და მარადისობაში გადახვედი. მაისის თვეში დაბადებული, მაისის თვემდე გამოშვებული შენს საყვარელ ოჯახს, შეილებს, ძილებს, შვილიშვილებს. ჩვენი მოსიყვარული და ღამაზო დედა, ღმერთმა ნათელში გვიტოვოს შენი სული და სამთხრემ დავიმკვიდროს. მსუბუქი ყოფილიყოს შენს გულზე დაყოფილი ახალსოფლის მიწა. საწილეს ავანთებ და მუდამ ვილოცებ შენი სულის სასწესებლად.

**შვილები გულიკო, ნუგზარი, ვიზო**



ამდენი სიცლისგანა. თურმე მაშინ როგორი ბედნიერები ვიყავით. ახლა კი ვუყვრები თქვენს დაღუპულ სახეს და გვიკვირს, რა გაჩერებ. სადაც არ უნდა ვყოფილიყავით, იქვე განჩივდით. ვი რომ, ისეთი დღეები აღარ განმეორდება. გვერდით, იმდენი სითბო და სიყვარული დათესე ჩვენში, არასოდეს არ დაგვაფიცდებით. მოვალე თქვენს საფლავზე, დაგვიკრეფთ მინდვრის ყვავილებს, რომელიც ძალიან გიყვარდათ და ვილოცებ, რათა მსუბუქი ყოფილიყოს თქვენთვის მშობლიური მიწა.

## ვერტევიჭალის საჯარო სკოლის მეცხრეკლასელები

## გმენატრები, მამიდა! (წელი მალრამის ხსოვნას)

ერთი წელი გავიდა, რაც ჩვენს გვერდით აღარ ხარ. ერთი წელია, არ გავგვივინია შენი ხმა, არ გვიგრძნობია შენი სითბო, მოგაკვლდა შენი ალერსი, შენი სიკეთე... წახვედი და დაგვიტოვე დიდი ტკივილი, დიდი მწუხარება! ძალიან გვიხდება ჩვენი გვერდით იყო, ისევ ჩავვიკრა გულში, ისევ მოგვეჩვენებოდა, ისევ გვანერგებოდა, მუდამ იყავი ჩვენი და მამამარცხებსო... მაგრამ ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. გისხვნივ ტკივილიანი მოგონებები. ვცდილობთ უშე-

ნოდ გავაგრძელოთ ცხოვრება, მაგრამ არა შენი ხსოვნის გარეშე!

შენი ხასიათი - ადამიანების სიყვარული, მათი თანადგომა, ჭირთან შეუგუებლობა და მრავალი შენი კარგი თვისება სამაგალითოდ დარჩება ჩვენთვის. ვეცდებით არ გავიცხოვროთ იმელები... მივალთ ხატებთან და ღმერთს შეუთხოვთ, ნათელში გამოყოფოს და სიხმრებში მაინც გვანახოს შენი თავი.

## შენი მისწვილები თიკო და ანა მალრამები

მეუღლე მალხაზ ლომიძე, შვილები გიორგი, ვანო, ძმა თამაზი, და რუსუდან გოგოლაძეები, მახლები მერაბ, ზაღა ლომიძეები, რძლები ლია ლაბაძე, ნინო ციციქიშვილი, დარეჯან ოკრიბელაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

## მარინა შაძროს ას ბობოლაძე-ლომიძე

დაკრძალვა 10 მაისს, 2 საათზე ს. ვერტევიჭალაში

ძმა თამაზი, და რუსუდან გოგოლაძეები, რძალი დარეჯან ოკრიბელაშვილი, ძმის-შვილები თამარ, ლექსო, ლაშა გოგოლაძეები, სიმე კოტე კენჭიშვილი, დის-შვილები ია და თამაზა კამკამიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

## მარინა (მარიკა) შაძროს ას ბობოლაძე

ვერტევიჭალის საჯარო სკოლის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფიზიკის მასწავლებელი

## მარინე ბობოლაძე

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვალებულის ოჯახს.

ვერტევიჭალის საჯარო სკოლის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის ყოფილი პედაგოგი

## დიმიტრი ბობოლაძე

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ვენერა კიკნაძე, ოჯახით, ღრმა მწუხარებას გამოთქვამს უახლოესი ნათესავის, სამაგალითო პიროვნების, ჭეშმარიტი ქართველის

## ზია მამიძის ძე აბაშიძის

უდროოდ გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და მის ახლობლებს.

ვერტევიჭალის საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფიზიკის მასწავლებელი

## მარინე ბობოლაძე

და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს.

ვერტევიჭალის საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფიზიკის მასწავლებელი

## მარინე ბობოლაძე

და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს.

მამიდეები ჟუჟუნა და ნათელა ნანიტაშვილები, ბიცოლები ლენა ჭუმბაშვილი და ნანული მეტრეველი, ბიძა რუბენ აბულაშვილი, მამიდაშვილები მურთაზი, ნუნუკა, ლელა ზიჯაკაძეები, ლია, ბადრი აბულაშვილები, ბიძაშვილები მანანა, დათო, ლამარა, მურთაზი და ლალი ნანიტაშვილები ოჯახებით დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

## ნუშირი ნანიტაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

„შს „ხარაგაულის საავადმყოფოს“ სამედიცინო-გინეკოლოგიური განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძობენ რუსუდან გოგოლაძეს დის

## მარინა ბობოლაძე-ლომიძის

გარდაცვალების გამო.

ხუნევის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაგრძობს უცხადებენ ამავე სკოლის პედაგოგს ლამარა ლომიძეს მულის-შვილის

## ვენერი თარბა რამიშვილის

გარდაცვალების გამო.

ნოე მალრამე, კუკური გაბუნია ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

## ზია აბაშიძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძობს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

ბორითის საჯარო სკოლის დირექტორი, პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან 1991 წელს კურსდამთავრებული

## ვენერი თარბას

ტრაგიკულ დაღუპვას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ბორითის საჯარო სკოლის დირექტორი, პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი ღრმა მწუხარებით იუწყებიან

## ტატანა ბიქტორის ას ბლუაშვილი-სებისკვერადის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ელგუჯა და ნადია მუმლაძეები იუწყებიან

## მარინე ბობოლაძის

გარდაცვალებას და ღრმა მწუხარებით თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს.





### 9 მაისი ფაშობზე გამარჯვების დღეა

ფოტოზე, რომელიც გადაღებულია 30 წლის წინათ, 1981 წელს, აღბეჭდილია ხარაგაულის რაიონში მცხოვრები დიდი სამამულო ომის მონაწილეთა ერთი ჯგუფი.

პირველ რიგში, მარცხნიდან: კაკო ვეფხვაძე, შალვა ნადირაძე, შოთა ხიჯაკაძე, ვარლამ ბუაჩიძე, გიორგი ბლუაშვილი, საშა ჩიკვაძე, გიორგი

მეორე რიგში: პოლიკარპე თხელიძე, ამბროსი მანჯავიძე, შოთა ჯოგლიძე, გიორგი ტაბატაძე, ლევან ლურსმანაშვილი, შოთა მახუნიძე, მამია ცქციტი-

შვილი, გიორგი კუპრაძე, პოლიტე მაისურაძე, პლატონ ლოლაძე.

დღესათვის მათგან, სამწუხაროდ, სახეზეა მხოლოდ გიორგი ბლუაშვილი. წარსულთა შთამომავლობას უსურვებთ მუდამ სსომებოლეთ მამა-პაპათა ღვაწლით კაცობრიობის წინაშე. თუ არა ფაშობზე გამარჯვება, დღეს მსოფლიო სულ სხვანაირი იქნებოდა.

### „გაზაფხული დავარქვით ჩვენს წკრიალს სიმღერებს..“

გაზაფხულის ეს ღამეები დღე დღე-ხანს ემანსონებოდა ხარაგაულის №2 ბაგა-ბაღის (გამგე მათა მჭედლიძე) აღსაზრდელებს, მშობლებსა და სტუმრებს. გემოვნებით მორთულ დარბაზში ტიტების და პიონების ცეცხლი ენთო და ნამდვილი გაზაფხულის სურნელი ტრიალებდა. სტუმრები უჩვეულო ამბის მოლოდინში გატრუნულნი იხსნდნენ და აი, ღამეები მუსიკის ფონზე (მუსიკის მასწავლებელი ირმა ყანჩაველი) მართლაც უჩვეულო „კინოინიანი გოგონა“ (აღმზრდელი ელზა ბანცაძე) გამოჩნდა. მან სტუმრებს გაზაფხულის შემობრძანება მიულოცა: „მიხდა ეს დღე ღამეზად დაგამანსოვროთ. ამაში კი ჩვენი საბავშვო ბაღის აღსაზრდელები დამეხმარებოდნენ, აგერ ისინიც...“ მიმართა მან დარბაზს და ღამეზად დაბრუნებული გოგონები მხიარულად მოეფინენ დარბაზს მუსიკის პანგებზე (აღმზრდელი ნანა ჯღამაძე და ნანა მალრაძე) და ნამდვილი დღესასწაული გამართეს.

პატარა მერცხლები ინგლისურადაც ააჭიკჭიკა ძალიან მოკლე დროში პედაგოგმა ეკა ჩეკურიშვილმა. ეს კი უდავოდ გაერთიანების დირექტორის ქეთევან ზუმბაძის დიდი დამსახურებაა. იგი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ რაიონის ყველა საბავშვო ბაღში ბავშვები თანაბარ პირობებში იზრდებოდნენ. ამის გამო მშობლები მის მიმართ კმაყოფილებას გამოხატავენ.

სტუმრები მოიხიბლნენ და აღტაცება ვერ დამალეს ელენე შველიძის და არმაზ შავიძის მიერ შესრულებული ცეკვა „აჭარულითა“ და „ქართულითა“.

მხიარულება შემოიტანა ზემში საბავშვო ბაღის უმცროსი აღსაზრდელები ჩართვამ. ფერიასავით ჩატყულმა მარიამ თაბუკაშვილმა ღამეზად უმღერა იას, ხოლო პატარა შოთიკო ღამეში-ქემ, ვახტანგ მესხმა, ზურა ღუგლაძემ და დინა ბოგვერაძემ ომანხანად წაიკითხეს ლექსები გაზაფხულზე.

ზეიმის დასასრულს აღმზრდელმა ნანა მალრაძემ დალოცა ყველა და ღვთისმშობელ მარიამს შეავედრა მათი მომავალი, უღრუბლო, ბედნიერი ცხოვრება უსურვა.

საღამო საოცარი არტისტიზმითა და სიყვარულით მიჰყავდა პედაგოგ ელზა ბანცაძეს. ყველა ცეკვადა და მღეროდა. მათი ხმები გაზაფხულის ზარებს ჰგავდა.

ზეიმის მოწყობაში გაწეული შრომისათვის გაერთიანების დირექტორმა ქეთევან ზუმბაძემ მადლობა გადაუხადა ბაღის გამგეს მათა მჭედლიძეს, პედაგოგებს ნანა ჯღამაძეს, ნანა მალრაძეს, და ირმა ყანჩაველს.

ღე, მრავალი ასეთი ღამე გაზაფხული შემოსულიყო თქვენს ცხოვრებაში, მვირფასო ბავშვებო და პედაგოგებო!

თამარ ბაჩიშვილი

#### ყურადღება!

მუზეუმებში ხალხის ფართო მასების მოზიდვის მიზნით 2005 წელს ევროსაბჭოს პატრონაჟით წამოწყებულ იქნა აქცია „მუზეუმების დღე“. რომელიც ევროსაბჭოს წევრ ყველა ქვეყანას შესთავაზეს.

მიმდინარე წლის 15 მაისს საღამოს 18 საათიდან ღამის 1 საათამდე ხარაგაულის ისტორიული მუზეუმში გახდება საერთო ევროპული აქციის მონაწილე და თავის წვლილს შეიტანს „მუზეუმების დღის“ აქციაში.

ცნულა მსურველს შეუძლია მობრძანდეს და გახდეს აქციის მონაწილე.

**ხარაგაულის ისტორიული მუზეუმი**

#### კონკურსი რაიონებში მთავარი აბრონიის თანამდებობაზე

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო აცხადებს კონკურსს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში რაიონის მთავარი აბრონიის თანამდებობაზე.

რაიონის მთავარი აბრონიის მოვალეობა იქნება მისი სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით ფერმერებისა და გლეხების კონსულტირება, როგორც ასალი კულტურებისა და ვიშების შესახებ, ასევე წარმოების ახალი მეთოდების, სასუქებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების შესახებ.

შერჩეული საეკვიპოვებო სტაჟირებას გაივლიან ამერიკის შერთობულ შტატებსა და ევროპის ქვეყნებში.

განაცხადის შეტანის ბოლო ვადაა 2011 წლის 20 მაისი. დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 832 37-80-14. სააპლიკაციო ფორმის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ამ მისამართზე: <http://moa.gov.ge/index.php?page=ind>

ეულოცავთ მოლითის საჯარო სკოლის მასწავლებელს **მარინა ლაცაბიძეს** გაუთვლილი ბედნიერებას.

ახალშეუღლებულებს **სარტაკ ლაცაბიძეს** და **ეკა შერგელაშვილს** უსურვებთ დღეგრძელობას, უღვე სისარულსა და სიყვარულს, შეიღობა სიმრავლეს.

ბედნიერება და უფლის წყალობა ყოფილიყოს მათი ცხოვრების თანამგზავნი.

**მოლითის საჯარო სკოლის დირექტორი, პედაგოგები**

\*\*\*

**ბორითის საჯარო სკოლის დირექტორი, პედაგოგური კოლექტივი** და **ტექნიკური პერსონალი** ულოცავენ **ია ტაბატაძეს** და **დავით კიკნაძეს** შეიღობის **ელენეს** დაბადებას. უსურვებენ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, უღვე სისარულსა და ბედნიერებას.

\*\*\*

დაბადების დღეს ეულოცავ **ბესო ფიცხვერაშვილს** და ჩემს საყვარელ **მეგობარს მანანა მალაფერიძეს**.

უსურვებთ მათ ჯანმრთელობას, ოჯახურ ბედნიერებას და წინსვლას.

**მარიამ ნოზაძე**

\*\*\*

ეულოცავთ დაბადების დღეს **ვაჟიკო მაისურაძეს**. უსურვებთ ღვთის წყალობას და სასახლო გაუკაცად აღზრდას.

**ვარძიის საჯარო სკოლის I კლასის მოსწავლეები, მოსწავლეთა მშობლები და კლასის ხელმძღვანელი ქუყუნა ნანიტაშვილი**

მოლითის საჯარო სკოლის პედაგოგს **ინგა კაკაშვილს** ეულოცავთ დაბადების დღეს, უსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, სიყვარულს და ღამეზად მომავალს.

**მოლითის საჯარო სკოლის პედაგოგები**

ეულოცავთ **რეზიკო სარალიძეს** დაბადების დღეს. უსურვებთ ჯანმრთელობას, გახარებას და კარგ წყალობას.

**ვარძიის საჯარო სკოლის I კლასის მოსწავლეები, მოსწავლეთა მშობლები და კლასის ხელმძღვანელი ქუყუნა ნანიტაშვილი**

### რჩევნი დიასახლისებს

ყოველმა ქალმა იცის პატარა-პატარა ხრიკები, რათა უფრო მოხერხებულად გაუძღვეს საოჯახო მეურნეობას, უკეთ შეინარჩუნოს სახლში წესრიგი და სისუფთავე, და ამ ხრიკებს სიამოვნებით ასწავლიან სხვებსაც. ყველაზე მეტ რჩევას კი მამინ იღვვიან, როცა საქმე სამზარეულოს ეხება. საინტერესოა, რა საიდუმლოებს უზიარებენ ერთმანეთს დიასახლისები...

ნურასოდეს გამოიყენებთ ახალნაყიდ ტუფებს და ქაბებს სათანადო დამუშავების გარეშე. ჯერ გარეცხეთ, მერე ქაბში წყალი წამოაღულეთ და გადღვარეთ, ხოლო ტაფაზე - ხეთი. ამის შემდეგ ტაფა გააცივეთ და გაწმინდეთ სუფთა თეთრი ქაღალდით. ასე დამუშავებული ქაბები და ტაფები ზიანს აღარ მიყენებს თქვენს ჯანმრთელობას.

\*\*\*

ლიმონი მხოლოდ ჯანმრთელობისა და სილამაზისთვის კი არ არის სასარგებლო, არამედ საოჯახო საქმიანობაშიც შეუცვლელია. გაურთეთ ლიმონის წვენი მარილი და ეს ნარევი დადებით ტანსაცმელზე მოხვედრილ ფლომასტერის ლაქას, გაწმინდეთ, შემდეგ ჩვეულებრივ გარეცხეთ. ლაქები გაქრება! ხილით სავსე ლარნაკში ჩადეთ ლიმონი. ის ხილს დიდხანს შეინარჩუნებს სიჭარბეს. თუ ლიმონს გვერდით მოუწყობთ უწყვიარ ბანანებს, ისინი სწრაფად დამწიფდება. მიკროტალღოვან ღუმელში უსიამოვნო სუნის გასაქრობად რამდენიმე უღვუფა ლიმონი ჩადეთ წყლიან ფინჯანში, შედგით ღუმელში და ის მთელი სიმძლავრით ჩართეთ. შემდეგ ეს ლიმონიანი წყალი გააცივეთ და შედგით მაცივარში - იქაც სასიამოვნო სუნს მოაფრქვევს. მაიონზიანი სალათა განსაკუთრებულ გემოს შეიტანს, თუ სუფრასთან მიტანამდე რამდენიმე ხნით ადრე მასში ლიმონის ქერქს ჩადებთ.

\*\*\*

მთარული აზრის თანახმად, ჯობს, ხორციის მომზადება მამაკაცის ანდო. რა თქმა უნდა, ბევრი დიასახლისი ამ აზრს არ დაეთანხმება, რადგან თავადაც არაჩვეულებრივად ამზადებს ხორციან კერძებს, მაგრამ თუ ხორცს მამაკაცის ხელი შეეხო, კონკურენტულად ლაპარაკი უნდა შედგეთ! არადა, ყველაფერი ძალზე მარტივია: უბრალოდ, მამაკაცებს თავ-თავიანთი ხრიკები აქვთ: შემწვარი საქონლის ხორცი უფრო წვნიანი გახდება, თუ შეწვამდე რამდენიმე წამით მღულარე წყალში ჩააღებთ; ხორცი შეწვის დროს რომ არ დაივრხოს და არ წამოიწიოს, მჭრელი დანით მთელ სიგრძეზე დასრეთ.

ხორცი ტაფას არ მიკრობა, თუ ცალი მხრიდან ფქვილში ამოავლებთ და ისე

შეწვავთ, მერე ფქვილს მერე მხარესაც მოაერთი, გადააბრუნებთ და მერე მხრიდანაც შეწვავთ.

შემწვარი ფრინველის კანი გემრიელი და ტკაცუნა რომ იყოს, შეწვის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე ფურჯით წაუსვით გაყინული მარილიანი წყალი.

ხორცის ფარში და მისი კატლებები რბილი და ფუმფული იქნება, თუ ფარშს ზელის დროს რამდენიმე ნატეხ ყინულს ჩააყოლებთ.

გულაში მიიღებს პიკანტურ გემოს, თუ მზადების დასასრულს დაუმატებთ პურესავით გახეხილ ნახევარ ბანანს.

\*\*\*

მრავალ ჩვენგანს მარილის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია. მარილს უმთავრესად საკვებად ვიყენებთ, მაგრამ ყველამ როდი იცის, რა შეუძლია მარილი. როგორ შევაზოთ მარილით კერძი?

ხორცის წვნიანს მარილი უნდა დავუმატოთ ხარშის დამთავრებამდე 30 წუთით ადრე, ხოლო თევზის წვნიანს - ხარშის დაწყებისას; მოსახარმად გამოადებულ კარტოფილში მარილი ხარშის დაწყებამდე უნდა ჩავეყაროთ, ხოლო შესასწავს ბოლოში მოვყაროთ.

ბარდა და ლობიო მამინ უნდა დავამარილოთ, როცა დარბილდება, წინააღმდეგ შემთხვევაში მარილები არ მოიხარშება.

გადამალაშებული წვნიანი შეიძლება საჭმელად ვარგისი გახდეს, თუ მასში ჩაუშვებთ სუფთა ნაჭერში გახვეულ მოხარშული ბრინჯის გუნდას და წამოაღულეთ: ბრინჯი ზედმეტ მარილს შეიწოვს.

იმისთვის, რომ მარილი არ დაწოტდეს, დაამატეთ მას 8-10% კარტოფილის ფქვილი. ის არც გემოს შეუცვლის, არც ფერს. ასეთივე შედეგს მიიღებთ, თუ მარილში რამდენიმე მარცვალ ბრინჯს ჩააგდებთ.

თევზის გაწმენდა გაადვილებს, თუ მას წინასწარ მარილს წაუსვამთ - ამ შემთხვევაში ის ხელიდან აღარ გაივსხლტებათ.

\*\*\*

დღეს ბევრი იყენებს პროდუქტების შესანახად პლასტმასის კონტეინერებს. მაგრამ პლასტმასი ძლიერ იწოვს სუნს. ერთხელ გარეცხეთ სუნს ვერ მოაშორებთ კონტეინერს, რომელშიც ინახებოდა თევზი, ყველი ან ხახვი. შეგიძლიათ, ასეთი კონტეინერი გარეცხეთ საჭმლის სოდით - სუნი თითქოს არც ყოფილა!

გაითვალისწინეთ გამოცდილი დიასახლისების რჩევები, კმაყოფილი დარჩებით.

**ნანა კლარაძე**  
mkumali.ge